მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე "5" "ივნისი", 2012 წელი

<u>შეთანხმების მონაწილეები</u>

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, მისი რექტორის, სრული პროფესორის თინა გელაშვილის და ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ლალი კარკაძის სახით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს "ურთიერთთანამშრომლობის შესახებ" შემდეგზე:

უფლებამოსილების საფუძველი და უფლებამოსილებათა ფარგლები

შეთანხმების მონაწილენი თანხმდებიან შემდეგზე:

1. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის "დაწყებითი განათლება" საბაკალავრო პროგრამის, მასწავლებლის მინორ და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსის - „ინკლუზიური განათლება" დასაუფლებლად სტუდენტები პრაქტიკუმის შესასრულებლად განსახორციელებელ აქტივობებს ჩაატარებენ ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლაში, რისთვისაც განხორციელდება ერთობლივი საქმიანობა შემდეგი მიმართულებით:

   - მოქმედი საბაკალავრო და მინორ პროგრამების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტები სასწავლო დისციპლინის კურსში შესაბამის პრაქტიკუმის საათებს ჩაატარებენ სპეციალიზებულ სკოლაში.

   - სწავლების პროცესში დაცული იქნება საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების მინორ და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კურსის შესწავლისათვის საჭირო საათების რაოდენობა.

   ჩამოთვლილი მიმართულებით მხარეები:

   - ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო „დაწყებითი განათლება" და მასწავლებლის მომზადების მინორ და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს კურსის პრაქტიკუმის განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით.

2. მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პრაქტიკუმის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიების განრიგს.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა:
   - მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

- მემორანდუმზე უარის თქმა შესაძლებელია მეორე მხარის წერილობითი ინფორმირების შემდეგ, რომელიც უნდა შეიცავდეს თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზის არგუმენტირებულ დასაბუთებას.

- მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

შეთანხმება ხელმოწერილია

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი,
სრული პროფესორი: თინა გელაშვილი

ქალაქ ახალციხის №7 საჯარო
სკოლის დირექტორი ლალი კარკაძე

შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.ახალციხე „25“ „იანვარი“2016წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №7 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, ლალი კარკაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №194 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №272 დადგენილებისა და მხარეთა შორის 2012 წლის 05 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდგზე:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება მხარეთა შორის 2012 წლის 05 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორს მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №7 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, ლალი კარკაძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე“.

2. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 05 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**ქ.ახალციხის №7 საჯარო სკოლა**
რექტორი, პროფესორი	**დირექტორი**
მერაბ ბერიძე	**ლალი კარკაძე**
---	---